

ETHNOLINGUISTIC ASPECTS OF THE STUDY OF FOLK FESTIVALS OF THE FRON VALLEY

ფრონის ხეობის ხალხურ დღეობათა შესწავლის ეთნოლინგვისტური ასპექტები

MARIAM KOBERIDZE

Doctor of Philology, Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995577251275, maikoberidze@gmail.com ,
<https://orcid.org/0000-0002-6604-1628>

Abstract.

This scientific article presents the folk calendar holidays of the Fron Valley, aspects of the study of rituals and terminology related to them, and local features in the general Georgian ethnocultural context. In the conditions of modern globalization, ritual traditions have changed, some of the local holidays are still held, while others no longer function.

Some villages have several shrines, but they are named after one saint. The most important holiday in the village of Dirbi is Zedajvroba. The name is associated with the St. George's Church in Zedajvri. The holiday is celebrated annually on Monday, the twenty-second day after Easter.

On the third Friday after the Great Easter holiday, the Kvantoba festival is held in the village of Dvani, which is associated with the name of Saint George of the Kvantoba. The Kvantoba festival is also held on Thursday in the village of Khovle, the Kvantoba festival is also called the Kokhisjrob. Dvani is known for large hail, and therefore a festival against the Kokhis has been established. In Lechkhumi, the Kokhinjrob festival is confirmed, in Racha - the Kokhinjrob festival. In Western Georgia, this festival was held on May 7.

In the village of Nuli there is a church named after St. George Paraskeva, where people go to pray on Fridays and also celebrate the feast day.

In the village of Avlevi, St. George's Day, a feast dedicated to St. George, is held on May 6. The Niniashvilis living in this village also celebrate Ivanoba on July 7 along with St. George's Day. The family moved from the village of Yoncha to live there and also celebrate the feast day of the Angel of the Foundation.

Among the shrines, the most powerful shrine was considered to be St. George of Avnevi, and a folk festival was held on the Monday of the second week after Easter. There is a church named after St. George of Karaseti in Kornisi. The festival of Karaseti was held here. The icon of St. George of Karaseti was considered a powerful icon. According to the ancient belief of the people, Karaseti saved the sick from the spirit. Such sick people would be led around the church three times with burning censers in their hands and ask St. George of Karaseti to heal them.

In the nearby villages of Sagholasheni, Aradeti, Tsveri and Breti, Mariamoba/Marioba is held on August 28.

In Takhtisdziri, the Peter and Paul Church is located in the center of the village. The population celebrates the feast dedicated to the church - Peter and Paulba - on July 12. In Lechkhushi, the Peter and Paulba is held on June 29.

The system of festivals of the Fron Valley clearly reflects the veneration of Christian saints (St. George, St. Mary, St. Peter and Paul) and ancient beliefs and representations, which unite the village, express social communication, strengthen family ties, and ensure the transmission of cultural memory from generation to generation.

Keywords: Fron Valley, folk festivals, ethnolinguistic aspects, ritual terminology, cultural memory.

მარიამ კობერიძე

ფილოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო
 უნივერსიტეტის პროფესორი, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., №53, 1400,
 საქართველო, +995577251275, maikoberidze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-6604-1628>

აბსტრაქტი.

წინამდებარე სამეცნიერო სტატიაში წარმოდგენილია ფრონის ხეობის ხალხური კალენდარული დღეობები, მასთან დაკავშირებული რიტუალებისა და ტერმინოლოგიის შესწავლის ასპექტები და ლოკალური თავისებურებები ზოგადქართულ ეთნოკულტურულ კონტექსტში. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში რიტუალური ტრადიციები შეცვლილია, ლოკალური დღეობების ნაწილი ახლაც იმართება, ნაწილი კი აღარ ფუნქციონირებს. ზოგ სოფელში რამდენიმე სალოცავია, მაგრამ ერთი წმინდანის სახელობისაა. სოფელ დირბის უმნიშვნელოვანეს დღესასწაულს წარმოადგენს ზედაჯვრობა. სახელწოდება დაკავშირებულია ზედაჯვრის წმინდა გიორგის სახელობის ტაძართან. დღეობა აღინიშნება ყოველწლიურად აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულიდან ოცდამეორე დღეს, ორშაბათს.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულიდან მესამე პარასკევს სოფელ დვანში იმართება კვართობა, რომელიც უკავშირდება კვართის წმინდა გიორგის სახელს. კვართობა იმართება ხუთშაბათ დღეს სოფელ ხოვლეშიც, კვართობის დღესასწაულს კოხისჯვრობასაც უწოდებენ. დვანში მსხვილი სეტყვა სცოდნია და ამიტომ დაუწესებიათ კოხის საწინააღმდეგო დღეობა. ლეჩხუმში დასტურდება კოხინჯრობა, რაჭაში-კოხინჯარობა. დასავლეთ საქართველოში ეს დღესასწაული იმართებოდა 7 მაისს.

სოფელ ნულში მდებარეობს წმინდა გიორგის პარასკევას სახელობის ტაძარი, სადაც პარასკევს მიდიან სალოცავად და დღეობასაც იხდიან.

სოფელ ავლეში იმართება 6 მაისს გიორგობა წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი დღეობა. ამ სოფელში მცხოვრები ნინიაშვილები გიორგობასთან ერთად ივანობასაც იხდიან 7 ივლისს. გვარი სოფელ იონჩადან არის გადმოსული საცხოვრებლად და ფუძის ანგელოზის დღეობასაც დღესასწაულობს.

სალოცავებს შორის ყველაზე ძლიერ სალოცავად ითვლებოდა ავნევის წმინდა გიორგი და იმართებოდა ხალხური დღეობა - გორაობა აღდგომიდან მეორე კვირის ორშაბათს.

ყორნისში არის კარასეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. აქ იმართებოდა დღეობა კარასეთობა. კარასეთის წმინდა გიორგის ხატი ძლიერ ხატად ითვლებოდა. ხალხის ღრმა რწმენით კარასეთი არჩენდა სულით ავადმყოფებს. ასეთ ავადმყოფებს ეკლესიის გარშემო შემოატარებდნენ სამჯერ ხელში ანთებული კელაპტრებით და კარასეთის წმინდა გიორგის შესთხოვდნენ მის განკურნებას.

ლოკალურად ახლოს მყოფ სოფლებში - სალოლაშენში, არადეთში, წვერსა და ბრეთში 28 აგვისტოს ტარდება მარიამობა/ მარიობა.

ტახტისძირში სოფლის ცენტრში მდებარეობს პეტრე-პავლეს ეკლესია. მოსახლეობა ტაძრისადმი მიძღვნილ დღეობას-პეტრეპავლობას აღნიშნავს 12 ივლისს. ლეჩხუმში პეტრეპავლობა ტარდება 29 ივნისს.

ფრონის ხეობის დღეობათა სისტემაში მკაფიოდ იკვეთება ქრისტიანული წმინდანების (წმინდა გიორგი, წმინდა მარიამი, წმინდა პეტრეპავლე...) თაყვანისცემა და უძველესი რწმენა-წარმოდგენები, რომელიც აერთიანებს სოფელს, გამოხატავს სოციალურ

კომუნიკაციას, ამყარებს ნათესაურ კავშირებს და უზრუნველყოფს კულტურული მემსიერების თაობიდან თაობაზე გადაცემას.

საკვანძო სიტყვები: ფრონის ხეობა, ხალხური დღეობები, ეთნოლინგვისტური ასპექტები, რიტუალური ტერმინოლოგია, კულტურული მემსიერება.

შესავალი. სოფლებისა და დასახლებული პუნქტების მიხედვით ქართული ხალხური დღეობების აღნუსხვასა და ეთნოლინგვისტურ კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მასში თავმოყრილია დღესასწაულები და სამზადისი ამ დღესასწაულების შესახებ, ცრუმორწმუნეობითი აღკვეთები, მაგიური რიტუალები, მკითხაობა, წინასწარმეტყველება, მარხვები, საერთო გართობა-თამაშობანი, რიტუალური ცეცხლის დანთება, წმინდანთა კულტები და რწმენა-წარმოდგენები ავ სულებზე.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, როდესაც ხალხური მეტყველება და რიტუალური ტრადიციები თანდათან კარგავს პირვანდელ სახეს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რეგიონალური კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსური შესწავლა. ეთნოლინგვისტური მიდგომა საშუალებას გვაძლევს ხალხური დღეობები განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც რელიგიური ან ეთნოგრაფიული ფაქტები, არამედ „ენობრივი ტექსტები“, რომელშიც კოდირებულია ხალხის მსოფლმხედველობა, მითოლოგიური აზროვნება და სოციალური სტრუქტურა. კვლევის მიზანს წარმოადგენს ფრონის ხეობის კალენდარული დღეობების გამოვლენა, მასთან დაკავშირებული რიტუალებისა და ტერმინოლოგიის ანალიზი და ლოკალური თავისებურებების წარმოჩენა ზოგადქართულ ეთნოკულტურულ კონტექსტში.

საკითხის კვლევა მჭიდროდ უკავშირდება ფრონის ხეობის წარსულსა და დღევანდელს. ამიტომ მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ეთნოგრაფიულ-ლინგვისტური მონაცემების, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურისა და ჩვენ მიერ ფიქსირებული უახლესი მასალების დინამიკაში შესწავლა (ბარდაველიძე, 1974; აბაკელია, ალავერდაშვილი, ღამბაშიძე, 1991; მაკალათია, 1960; გარდაფხაძე-ქიქოძე, 1995; კოშორიძე, 2013; კობერიძე, 2025).

სამეცნიერო ნაშრომი მნიშვნელოვანია ეთნოგრაფიის, ლინგვისტიკისა და ხალხურ დღეობათა შესწავლით დაინტერესებული პირებისათვის.

მეთოდი. საკვლევი საკითხის თავისებურებებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების, დაკვირვების, არსებული ლიტერატურის მიმოხილვის, დიაქრონიული ანალიზის, დესკრიპტული და ისტორიულ-შედარებითი მეთოდი.

მსჯელობა და შედეგები. ქართლის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფიქსირდება ის დღეობა-დღესასწაულები, რომლებიც საერთო ქართულია. ამავე დროს ფართოდ არის გავრცელებული სასოფლო დღეობები, რომლებიც საეკლესიო დღესასწაულებთან არის დაკავშირებული. თითოეული სასოფლო-რელიგიური ტრადიციის გენეტიკური ფესვები საკმაოდ სიღრმეში შორს მიდის! საუკუნეების განმავლობაში ეს დღესასწაულები იმდენად მოერგო ქართლის სოფლებს, რომ ერთგვარად გახალხურდა კიდევაც. ისინი შეისისხლხორცა სოფლის მკვიდრმა ხალხმა და იქცა ოჯახის წლიური შინაგანაწესის ერთ-ერთ მყარ რგოლად (კოშორიძე, 2013:220).

ფრონის ხეობის ხალხურ დღეობათა შესწავლა შეუძლებელია იმ გეოგრაფიული და ისტორიული გარემოს გათვალისწინების გარეშე, რომელშიც ეს ტრადიციები ჩამოყალიბდა. შიდაქართლის ეს ნაწილი გამოირჩევა სალოცავთა სიმრავლით, რომელთა სახელწოდებების უმეტესობა არქაული წარმოებისაა.

დღესასწაულების შესწავლა, როგორც ცნობილია, რიტუალების თეორიასთან არის დაკავშირებული. რიტუალი დღესასწაულის ატმოსფეროა, შესაწირავი კი არის კალენდარული რიტუალის განუყოფელ ნაწილი. ამ მხრივ, ფრონის ხეობის დღეობები წარმოადგენენ ქართული საწესო კულტურის თავისებურ მოვლენას და აჩვენებენ მისი მატარებელი მოსახლეობის შემოქმედებით ხასიათსა და პოტენციას.

ფრონის ხეობის დღეობათა სისტემაში მკაფიოდ იკვეთება ქრისტიანული წმინდანების - წმინდა გიორგის, წმინდა მარიამის, წმინდა იოანე ნათლისცემლისა და წმინდა პეტრეპავლეს თაყვანისცემა და უძველესი რწმენა-წარმოდგენები, რომელიც აერთიანებს კონკრეტულ სოფელს.

სოფელ დირბის უმნიშვნელოვანეს დღესასწაულს წარმოადგენს - „ზედაჯვრობა“, დღეობა აღინიშნება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულიდან ოცდამეორე დღეს, აუცილებლად ორშაბათ დღეს. ეს ტრადიცია დაკავშირებულია აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან. დირბში სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს წმინდა გიორგის სახელობის ზედაჯვრის ეკლესია, რომელიც თარიღდება X საუკუნით (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 1990: 369-370). სოფლის დღეობის სახელწოდება დაკავშირებულია ზედაჯვრის წმინდა გიორგის სახელობის ტაძართან. ამ დღეს სოფლის მაცხოვრებლები მიდიან ტაძარში სალოცავად, მიაქვთ შესაწირი. ტაძრიდან დაბრუნების შემდეგ ყველა თავის სახლში აღნიშნავს ამ დღესასწაულს.

დირბში მდებარეობს ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი¹, სადაც არის მიდგმილი დედოფლის ხატი. ხატი უშვილოთა შემწე, ორსულთა მფარველი და სნეულთა მკურნალია. მიდგომილი ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულია² 13 აგვისტო.

სოფელ დვანის ჩრდილო-დასავლეთით, კონუსური მთის წვერზე მდებარეობს წმინდა გიორგის ეკლესია, რომელსაც კოშკის ფორმა აქვს. ნაგებია კლდის ქვით. თარიღდება VIII საუკუნით. მოსახლეობა უწოდებს კვართის წმინდა გიორგის, ანუ ქრისტეს კვართის მცველ წმინდა გიორგის. აღდგომიდან მესამე პარასკევს იმართება ხატობა ანუ დღეობა „კვართობა“. ამ დღეს სოფლის მოსახლეობა საქმეს არ გააკეთებდა, უქმე დღედ ითვლებოდა: მზადდებოდა საუკეთესო საქმელ-სასმელი და მასპინძლობდნენ სტუმრებს. კვართობას ყოველთვის წვიმს.

სოფელ ხოვლეში არის კვართის კოშკი და კვართის ეკლესია, სადაც იციან ხატობა „კვართობა“. ს. მაკალათიას მიაჩნია, „კავთა“ დაკავშირებული უნდა იყოს „კვართასთან“ (ქრისტეს პერანგი), „კვართობასთან“. კავთისხევიც ემორჩილებოდა მცხეთის სვეტიცხოველს და, ამის გამო, შესაძლებელია, ამ ორ სახელწოდებას შორის არსებობდეს გენეტიკური კავშირი (მაკალათია, 1960: 3).

¹ ტაძრის ფასადზე არსებული წარწერა მიუთითებს, რომ ტაძარი ლეონ III აფხაზთა მეფის ზეობისას 957-967 წლებს შორის აუშენებიათ. ამ დროს ქართლს აფხაზთა მეფის მოხელე იოანე ერისთავი განაგებდა, რომელიც წარწერაში მეფის შემდგომ მოიხსენება (გვასალია, 1989: 11).

² დღესასწაული პირველად აღინიშნა 2015 წლის 13 აგვისტოს.

კვართობის დღესასწაულს „კობისჯრობასაც“ უწოდებდნენ. ხალხის გადმოცემით, დვანში კობი- მსხვილი სეტყვა სცოდნია და ამიტომ დაუწესებიათ ეს დღესასწაული. ქართულ ლექსიკონებში კობი ასეა განმარტებული: „კობი ქვა, რომელიც ცეცხლში არ დასქდების“ (ორბელიანი, 1949: 313); „კობი მაგარი ქვა, რომელსაც ნამტურეებს ჩაუსხამენ სალენავთა კვერთა ქვეშე“ (ჩუბინაშვილი, 1961: 253). როგორც ჩანს, მსხვილი სეტყვა შედარებულია ქვასთან - კობთან. დღესასწაულის სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს. დღესასწაულს ამინდის შეცვლის, სტიქიის აცილების რიტუალური დატვირთვა აქვს.

კობინჯვრობა, კობიჯვრობა სეტყვა - კობის საწინააღმდეგო სახალხო რელიგიური დღესასწაული ცნობილი იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში-სვანეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, გურიაში, იმერეთში, ქართლში, კახეთში... კობის დღესასწაულზე ქალები ღვთის სადიდებლად დადიოდნენ, აგროვებდნენ საწირავს (პური, ფქვილი, კაკალი, ყველი, ზოგჯერ ფულსაც) და იხდიდნენ „საღვთოს“, რათა ნათესები ქარ-სეტყვას არ გაენადგურებინა. კობი დიდი უქმე იყო, ამ დღეს არ მუშაობდნენ, მიწას „არ შეანძრევდნენ“ იმის შიშით, რომ მოსავალი არ დასეტყვილიყო; არც თითისტარს დაატრიალებდნენ. გარდა ამისა, ყოველი ორშაბათი აღდგომიდან ამაღლებამდე ქარ-სეტყვის საწინააღმდეგოდ იყო შეწირული.

ლეჩხუმში შვიდი მაისი ანუ კობინჯრობა ორნაირად ითვლებოდა უქმედ: ერთი იმიტომ, რომ შვიდი მაისი იყო და მეორე კი, კობის საწინააღმდეგოდ შეწირულ დღედ იყო მიჩნეული. ამიტომაც ორბელის თემი ამ დღეს უქმობდა მხოლოდ კობის შიშით. ისე ლოცვა ან განსაკუთრებული წესები ამ დღეს არ იცოდნენ.

კობის საწინააღმდეგოდ რაჭაში რამდენიმე დღე იყო გამოყოფილი. კობინჯრობა- დიდ უქმედ ითვლებოდა. დილას გამოიცხობდნენ ერთ განატეხს-ქონიანს ან ყველიანს. შეიძლება კვერცხიანიც ყოფილიყო. ანთებდნენ სანთელს, ხელში დაიკავებდნენ განატეხს და ზედაშს-სანთელს-კედელზე მიაკრავდნენ. შეილოცებოდნენ: „კობინჯრობის ძალო და მად[ლ]ო! ააშორე ჩვენს მამულს კობი, მიეცი კაი მოსვლა ხარისა და კაცის ნამუშევარს“. სანთელი კედელზევე უნდა ჩამქრალიყო. ამ განატეხს ოჯახის ყველა წევრი შეჭამდა. ამ დღეს თემობა სცოდნიათ სოფელ ლაბიჭანაში, სადაც მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაა. თუ ვინმეს შეწირული ჰქონდა ან „ ფთილდასმულნი“ იყვნენ ლაბიჭანის მთავარანგელოზის მიერ. ამ დღეს მიდიოდნენ თავის შესაწირად ამ ეკლესიაზე, თან მიჰქონდათ სანთელი, განატეხი და ზოგს კი-ფულიც. კობინჯრობას კობინარობასაც უწოდებენ (გარდაფხაძე-ქიქოძე, 1995:39).

ძველად თბილისში, ზატიკის პერიოდში (აღდგომიდან ამაღლებამდე) ამქრები უქმობდნენ, რიგ-რიგობით „საღვთო“, ანუ ღვთისა და წმინდანებისადმი სამადლობელ-სავედრებელ სუფრას იხდიდნენ. საღვთოს ნაწილს პატიმრებს, ქვრივ-ობლებს და ხეიბრებს უგზავნიდნენ. მათი შეხედულებით, ამ რიტუალების შესრულება მოსავალს სეტყვისა და კალიებისაგან დაიცავდა. კახეთში ამ დღეს „კობიანობას“ უწოდებდნენ. კობიანობის ჩატარების კალენდარულ დღედ შვიდი მაისი (ძვ. სტ.) თვლებოდა, რაც საეკლესიო ტრადიციით ჯვარჩინების დღეა. ხალხის წარმოდგენით, ამ დღეს მოსულ წვიმას სასწაულებრივი სამკურნალო და გამანაყოფიერებელი ძალა გააჩნდა. ამ თარიღის გარდა მისი საჭიროება იცინ, როცა სურთ სასურველი ამინდის გამოწვევა. ამ დროს კახეთში დადიოდნენ დიდებაზე, ძირითადად გვალვის დროს. კობინჯრობის დროს რამდენიმე სოფელს ერთად „შეწირული“ ჰქონდათ სასურველი ამინდის დასაბეველად მსხვერპლი. ასეთ შემთხვევებში იცოდნენ საერთო შემოწირულობებით საკლავის ყიდვა და მსხვერპლის

შეწირვა. საკლავის ნაწილი ყველა ოჯახს უნდა შეხვედროდა (აბაკელია, ალავერდაშვილი, & ლამბაშიძე, 1991: 91, 92, 98).

სოფელ ავნევის სალოცავებია: ღვთისმშობელი, წმინდა გიორგი, ივანე მახარობელი, კერპის საყდარი. ავნევის ღვთისმშობლის ეკლესიაში მორწმუნენი მიდიოდნენ როგორც ახლო, ასევე შორი სოფლებიდან სალოცავად და ღამის სათევად. მიუხედავად იმისა, რომ ავნევის საყდარ-სალოცავები თითქმის დანგრეული იყო, მათ მლოცველები მაინც ეტანებოდნენ, სადაც ლოცულობდნენ ბოროტი სულების წინააღმდეგ.

სალოცავებს შორის ყველაზე ძლიერ სალოცავად ითვლებოდა წმინდა გიორგი. აქ იმართებოდა ხალხური დღეობა - გორაობა აღდგომის მეორე კვირის ორშაბათს.

წმინდა გიორგის ლოცვით ევედრებოდნენ წველასა და რძიანობის მომატებას ძროხის გაშრობის შემთხვევაში მუხლმოდრეკილი ლოცვით. ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის ზვარას შეუთქვამდნენ და დაკლავდნენ გორაობის დღესასწაულზე (გოგოლაძე, 1968: 13).

ყორნისში სოფლის ბოლოს, მაღალ გორაკზე არის კარასეთის წმინდა გიორგის ეკლესია. ეკლესია ნაგებია კლდის დიდი ლოდებით, ერთნავიანია, მისი სახურავი ჩაქცეულია. ეკლესია შემოზღუდულია ქვიტკირის გალავნით, შესასვლელ კარებში გალავანს დატანებული აქვს სათოფურები.

კარასეთი ყორნისის ხეობაში ყველაზე ძლიერ ხატად ითვლებოდა და სალოცავად მოდიოდნენ შორეული სოფლებიდანაც. მას ღამეს უთევდნენ, მოჰქონდათ საწირ-სანთელი, მოჰყავდათ საკლავები და სხვა.

ხალხის ღრმა რწმენით, კარასეთი არჩენდა სამთვარიოს და სულით ავადმყოფებს. ასეთ ავადმყოფებს ეკლესიის გარშემო შემოატარებდნენ სამჯერ ხელში ანთებული კელაპტრებით და კარასეთის წმინდა გიორგის შესთხოვდნენ მის განკურნებას. თუ ავადმყოფი ქალი იყო, ნაწნავებს მოიჭრიდა და იქვე ხატის ნიშში შესდებდა (მაკალათია, 1963: 35-36).

სოფელ ნულის სალოცავებია: წმინდა მარინე და წმინდა გიორგი. მოსახლეობის გადმოცემით წმინდა გიორგი პარსკევას აუგია. მლოცველები პარსკევობით მიდიოდნენ სალოცავში და ასრულებდნენ რიტუალებს. სოფლის დღეობა იყო გიორგობა, ტარდებოდა 23 ნოემბერს.

გიორგობის დღესასწაული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირად აღინიშნება. რაჭაში უქმეა 23 აპრილი. სოფელში დღეობა არ იცოდნენ. დილას, ადრე ოჯახში გამოაცხობდნენ ერთ განატეხს-ქონიანს ან ყველიანს, ჩამოქნიდნენ ორ ჩხირ სანთელს. ამ განატეხით და ზედაშით-ერთი ბოთლი ღვინით და სანთლით წავიდოდა ოჯახის კაცი მთაზე და წმინდა გიორგის ეკლესიას მოილოცავდა. ანთებულ სანთელს ეკლესიაში დატოვებდა (გარდაფხაძე-ქიქოძე, 1995: 78).

სოფელ ავლევის სალოცავებია: ღვთისმშობლის ეკლესია, იოანე ნათლისმცემლის ეკლესია და წმინდა გიორგის ეკლესია. სოფლის დღეობა ტარდება 6 მაისს, დღესასწაულობენ გიორგობას. სოფელში მცხოვრები ნანიაშვილები იყენებენ ივანობასაც 7 ივლისს. ეს დღეობა სოფელ იონჩაში³ ტარდება. როგორც ჩანს ნანიაშვილებს ფუძის კავშირი აქვს იონჩასთან. ასევე სოფელში მცხოვრები ჯახველაძეების წინაპარი საჩხერედან ყოფილა წამოსული და ფუძე ეკლესიად სწორედ აქ არსებულ დღესასწაულსაც ზეიმობენ.

ლეჩხუმში ივანობის დღედ ითვლება 24 ივლისი. ეს არის ღომი ლოცვის დღე. იმასა ვისაც ღომი ბლომად ეთესა, გამოაცხობდა ერთ ტაბლას. ტაბლა ნიგვზიანი ან ღომიანი

³ იონჩა ამჟამად ოკუპირებულია.

ყველიანი უნდა ყოფილიყო. წაიღებდა ღომის ყანაში, სადაც შეილოცებოდა ამგვარად: „ღომის გამჩენო ძალა, შენ დეიფარე ჩვენი ღომი ჩიტის დაჩიჩქნისაგან, ჭირისაგან“. წაღმას ტაბლა შეატრიალებდა და იქვე ყანაში შეჭამდა. მამაკაცს ეს „ღომ სალოცი“ ტაბლა არ ეჭმეოდა, ვისაც ღომი არ ეთესა, ის ტაბლას არ აცხობდა, მხოლოდ უჭმობდა

ივანობა (ღომის ლოცვა) უქმე არ არის რაჭაში. დილას გამოაცხობდნენ ჩიტის გამოხატულების განატეხს, შიგ არაფერს ჩაურთავდნენ. „ღომის სალოცი“ განატეხს უფროსი ქალი ამგვარად შეულოცავდა: „შენ ააშორე ჩვენ ღომს ჩიტისაგან შეჭმა, მიეცი კაი თაველი და კაი გამოსვლა“. ამ განატეხს არავინ შეჭამდა - მხოლოდ მლოცველი ქალი წაიღებდა და დეღეში გადააგდებდა, თან ასე შესძახებდა: „რავარც მე ეს არ შევჭამო, ისე ჩემი ღომი ჩიტს ნუ შეეჭამოს“-ო(გარდაფხაძე-ქიქოძე, 1995: 6, 80).

ატოცის წმინდა გიორგის სალოცავი ფრონის ხეობაში ყველაზე ძლიერი სალოცავია. მისი სიძლიერე, როგორც ჩანს, ატოცის წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი ხატიდან მომდინარეობს,

ატოცის წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი ხატისადმი მიძღვნილ დღესასწაულს ატოცობას ქაშეთობასაც უწოდებდნენ. მისი დღესასწაული სექტემბრის ბოლო კვირას იწყებოდა და 1 ოქტომბრამდე გრძელდებოდა. ატოცობა ასევე 23 (6 მაისს) აპრილსაც აღინიშნებოდა. ამჟამად სოფელ ატოცის დღეობა 6 მაისს ტარდება. ხალხი ატოცის წმინდა გიორგის სულით ავადმყოფების განკურნებას შესთხოვდა. სალოცავში მოდიოდნენ ქადაგებიც. მლოცველებს ხატობაში მოჰყავდათ სულით ავადმყოფები, დგებოდნენ ღამისთევით, კლავდნენ კურატებს, ყოჩებს, მამლებს აფრენდნენ, ასრულებდნენ სხვადასხვა რიტუალებს... ხალხი ატოცის წმინდა გიორგის სულით ავადმყოფების განკურნებას შესთხოვდა. ვისაც შეთქმული ჰქონდა, ვისერზე დადიანურის სახელით ცნობილ ხატის ჯაჭვს დაიდებდა და სამჯერ გარშემო მუხლმოდრეკილი შემოუვლიდა ეკლესიას (კობერიძე, 2024: 436-437).

ატოცობის დღესასწაულზე სხვა რიტუალიც სრულდებოდა: ზოგიერთი მორწმუნე ეკლესიას ბამბის ძაფს შემოავლებდა ხოლმე. ამ ძაფს „ღვთისმშობლის სარტყელს“ ეძახდნენ. „ცდილობდნენ, რომ ძაფი არ გაწყვეტილიყო, რადგან ეს ითვლებოდა წარუმატებლობისა და უბედურების მომასწავებლად“ (კოშორიძე, 2019: 1-2).

ფრონის ხეობის სოფლებიდან მოსახლეობა მიდიოდა გერისტობასა და არბობას. ორივე დღეობა წმინდა გიორგის სახელზე იმართებოდა. გერის წმინდა გიორგი ითვლებოდა სულით დაავადებულთა მკურნალად და, ვისაც მისი მიზეზი გამოუვიდოდა, იქ მიჰყავდათ, გერის წმინდა გიორგის მის განკურნებას შესთხოვდნენ. მლოცველები გერში ღამისთევით დგებოდნენ ეკლესიას. ვისაც შეთქმული ჰქონდა, ისინი - ცეკვითა და მუსიკით შემოუვლიდნენ (მაკალათია, 1971: 60-62).

სახატო დღეობები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული რიტუალებით სრულდებოდა. ფშავში სახატო დღეობები გვარებზე იყო განაწილებული. ხატობა გვარში შემავალ კომლებს ცალ-ცალკე უწევდათ. მცირე კომლიან გვარებს ხშირად უწევდათ დღეობის გადახდა მრავალრიცხოვანკომლიან გვარებთან შედარებით. ამიტომ სამი გვარი ხშირად მარიამობის დღეობას ერთად უძღვებოდა (ბარდაველიძე, 1974: 11).

ხევში, ისე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებში, თითოეულ თემს თავისი მფარველი ხატი ჰყავს, მაგრამ მთავარ სალოცავებად ითვლება გეგრგეტის წმინდა სამება და სპარსანგელოზი, რომელიც სწორედ წმინდა გიორგის

სახელობის სალოცავია. გარდა ამ მთავარი სალოცავისა, არსებობს წმინდა გიორგის მრავალრიცხოვანი ეკლესიები. სალოცავები და ნიშები. მისი სახელობის სალოცავები არის თითქმის ყველა დასახლებაში ან მათთან ახლოს. აღსანიშნავია ფუძის სალოცავები. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გიორგობის დღესასწაულს, რომელსაც უფრო ხშირად წელიწადში ორჯერ აღნიშნავდნენ. სალოცავებს ხშირად თავისი ყანა და სათიბი გააჩნდათ, რომელსაც რიგ-რიგობით ამუშავებდნენ (დამბაშიძე, ზალავერდაშვილი, 2018: 111).

სოფელ ტახტისძირში, სოფლის ცენტრში, მდებარეობს პეტრეპავლეს ტაძარი, რომელიც თარიღდება XIX საუკუნით. მოსახლეობა ტაძრისადმი მიძღვნილ დღეობას - პეტრეპავლობას აღნიშნავს 12 ივლისს (კობერიძე, 2025: 266). მოსახლეობა რამდენიმე დღით ადრე იწყებს მზადებას. მოიმარაგებს სურსათ-სანოვარსა და სასმელს. განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა თონეში გამომცხვარ შოთ-ლავაშსა და ნაზუქს, საკლავის შეწირვის რიტუალსა და სტუმარ-მასპინძლობას. გადიოდნენ მიცვალებულის საფლავზეც. წარსულში იმართებოდა ჭიდაობა, ლხინი და სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები. მოსახლეობა დღეობის სწორზე 19 ივლისს მიდიოდა საღამოს ტაძარში, მიჰქონდა შესაწირი და ხშირად ღამესაც უთევდა ტაძარს, გამოხატავდა მადლიერებას უფლის მიმართ და შესთხოვდა ოჯახის დოვლათ-ბარაქს.

ტახტისძირი, ისე როგორც ფრონის ხეობის სხვა სოფლები, გამოხატავდა გარკვეულ რიტუალურ დამოკიდებულებას სხვა დღეობების მიმართ. ზედაჯვრობას, კვართობას, გორაობასა და წმინდა გიორგისადმი მიძღვნილ დღესასწაულებს ოჯახში აღნიშნავდნენ და ახლაც აღნიშნავენ. უქმედ მიაჩნდათ და ამ დღეს ბალ-ვენახში არ მუშაობდნენ და სიკეთეს გასცემდნენ.

ამაღლება დღეს ძროხის ნაწველს სახლში არ მოიხმარდნენ, მეზობელს მიაწოდებდნენ, უფრო კარგი წველა გვექნებაო. ყოველ ახალ მოსავალზე ზედაშეს-ხატისათვის შესაწირ ღვინოს ცალკე აიღებდნენ. ზედაშეს ინახავდნენ სხვადასხვა წმინდანის სახელზე და დღესასწაულებზე მიაართმევდნენ ტაძარს. ასევე, პირველ მონაწველ რძეს მხოლოდ ხატის სახელზე გამოიყენებდნენ. სოფლის მოსახლეობას განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა დირბის ღვთისმშობლის მიმართ. ყოველ წელიწადს ღვთისმშობელს შესაწირს მიაართმევდნენ 28 აგვისტოს ან 21 სექტემბერს.

ვფიქრობთ, ეს დამოკიდებულება ტრადიციულია და ისტორიულიც. დირბის ღვთისმშობლის ტაძარი ეკუთვნოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერს. ტახტისძირიც ჯვრის მონასტრის საკუთრება იყო და ეს დამოკიდებულება ისტორიულად ჩამოყალიბდა და განსაკუთრებული ასახვა ჰპოვა სოფლის მცხოვრებთა სულიერ სამყაროზე და ტრადიციულად თაობიდან თაობას გადაეცა (კობერიძე, 2025: 263-266).

ლეჩხუმში ტარდება პეტრეპავლობა 29 ივანობისთვის (ივნისი). უქმეა, ითვლებოდა მიცვალებულის სახსენებელ დღედ. ამ დღეს დიასახლისი სახლს დაასუფთავებდა, მერე სადილის სამზადისს შეუდგებოდა: პურს მოზეღდა. სამ ყველიან სულის პურს გამოაცხობდა, ქათამს დაკლავდა, შეწვავდა, გვაჯილს გააკეთებდა, ღვინოს აიღებდა და სუფრას „წოდებდა“. მიუხედავად იმისა, ჰყავდა თუ არა მიცვალებული. ამ დღეს იტყოდნენ: „სადილობამდე პეტრეო“, რადგან მალე კვირიკობა (მარხვა) იწყებოდა.

რაჭაში ამ დღესასწაულს „პეტრეპავლობის დაურწყება“ ერქვა. ეს დღე უქმე არ იყო, მხოლოდ ვახშამი იყო განსაკუთრებული: ჩაადგამდნენ შაშხს და მიირთმევდნენ. დაურწყება-მარხვის დაწყების წინა დღე. ამ დღეს ყოველ ოჯახში ხალხმრავლობაა, მოდიან სტუმრები, იმართება საზეიმო შეკრებები და ტრადიციულად ზვარაკის შეწირვა მშვიდობისა და მოსავლიანობისათვის (გარდაფხაძე-ქიქოძე, 1995: 41-42).

კახეთში პეტრეპავლობას მიცვალეზულეს ტაბლას უდგამდნენ. ხევსა და გუდამაყარში, ვისაც ამ დღეს ხატი მოუდიოდა, სალოცავში გადიოდა. პეტრე-პავლობის შემდეგ გუდამაყრელები სათიბში გადიოდნენ (აბაკელია, ალავერდაშვილი, & ღამბაშიძე, 1991:102).

ლოკალურად ახლოს მყოფ სოფლებში - სალოლაშენში, არადეთში, წვერსა და ბრეთში 28 აგვისტოს ტარდება მარიამობა/ მარიობა. ეს დღე აღინიშნება ხატობით და საოჯახო დღესასწაულით. ამ დღესთან დაკავშირებით ხდება საკლავის ან ფრინველის შეწირვა და ოჯახური ტრაპეზი სტუმრებთან ერთად. იგი მიიჩნევა მოსავლის აღების დასასრულის დღედ. აღებულია ხორბალი, ქერი, ლობიო. ძველი ტრადიციით, ყურძენს მარიამობამდე არ მიირთმევდნენ. კურთხევა ღვთისმშობლისაგან უნდა მიეღოთ.

28 აგვისტოს ფრონის ხეობის სოფლებში ღვთისმშობლის მიძინების დღესთან დაკავშირებით იმართება დღეობა-მარიამობა, რომელსაც სოფელი დღესწაულობს.

ქართლში საკმაოდ გავრცელებული რიტუალი იყო ლაზარობა, რომელიც იმართებოდა გვალვის დროს. რიტუალს სოფლის ქალები ასრულებდნენ და მიმართული იყო წვიმის მოსაყვანად, თუმცა არადეთში ლაზარობის რიტუალში მთავარ როლს მამაკაცები ასრულებდნენ (კოშორიძე, 2014: 119).

ლაზარობა ანუ დიდებაზე სიარული ფრონის ხეობის სოფლებისთვისაც დამახასიათებელ რიტუალს წარმოადგენდა. დედოფალას (ლაზარეს) გოგოები ჩასდებდნენ წყლიან ჯამში და გოგოები კარდაკარ ჩამოატარებდნენ: ღმერთო მოგვეც ტალახიო, აღარ გვინდა გორახიო, შემდეგ დედაკაცები შეებმებოდნენ გუთანში, ერთ-ერთი მათგანი გუთნის დედა იყო, შევიდოდნენ მდინარეში და ხნავდნენ, თან ერთმანეთს წუწავდნენ და იძახოდნენ: ავდარი მოვიდაო! (მაკალათია, 1961: 50).

ტახტისძირში იმართებოდა ამინდის შეცვლის რიტუალი -ლაზარობა და დიდებაზე სიარული. პროცესის მონაწილეები აგროვებდნენ სხვადასხვა სანოვარეს-ფქვილს, კვერცხებს, ყველს. შემდეგ საერთო სუფრა იმართებოდა. წვიმის გამოწვევის ან წვიმის შეჩერების წესი. ხდებოდა ძლიერი სეტყვის დროს უფროსი შვილის მიერ წვიმაში მარილის გადაყრა.

დიდებაზე ქალები ღამით ჩამოივლიდნენ, სახეს არ გამოაჩენდნენ. მოითხოვდნენ ფულს, ფქვილს, რძის ნაწარმს, ლობიოს. შეგროვილ პროდუქტებს გაყიდდნენ. ფულს ან ეკლესიას შესწირავდნენ, ან ქეიფოდნენ. ამის შემდეგ თუ წვიმა არ იყო, წამოვიდოდა; თუ ხშირი წვიმები იყო, მზე გამოვიდოდა. წვიმის თხოვნას ასე გამოხატავდნენ: „აბა ჩვენო ელია, რაზედ მოგიწყენია, თეთრი ციკან-ბატკანი შენთვის მოგვირთმევია, ჩვენ დაგიკლავთ ციკანსა, შენ მოგვიყვან წვიმასა, აღარ გვინდა გორახი, ახლა გვინდა ტალახი“. ხანგრძლივი წვიმის დროს ამბობდნენ: „აღარ გვინდა ცის ნამი, ღმერთო მოგვეც მზის თვალი, აღარ გვინდა ტალახი, ღმერთო მოგვეც გორახი“ (კობერიძე, 2024: 298-299).

ამრიგად, გაანალიზებულმა მასალებმა გვიჩვენა, რომ ფრონის ხეობის ხალხური კალენდარული დღეობები, მასთან დაკავშირებული რიტუალები და ტერმინოლოგია ზოგადქართულია. ფრონის ხეობის დღეობათა სისტემაში მკაფიოდ იკვეთება ქრისტიანული წმინდანების (წმინდა გიორგი, წმინდა მარიამი, წმინდა პეტრეპავლე, წმინდა იოანე...) თაყვანისცემა და უძველესი რწმენა-წარმოდგენები, რომელიც აერთიანებს სოფელს, გამოხატავს სოციალურ კომუნიკაციას, ამყარებს ნათესაურ კავშირებს და უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის თაობიდან თაობაზე გადაცემას.

რიტუალური ტრადიციების ნაწილი შეცვლილია, ლოკალური დღეობების ნაწილი ახლაც იმართება, ნაწილი კი აღარ ფუნქციონირებს. ზოგ სოფელში რამდენიმე სალოცავია, მაგრამ ერთი წმინდანის სახელობისაა. დასტურდება ლოკალური დღეობები, რომელიც რამდენიმე სოფელს აერთიანებს.

ნაშრომში წარმოდგენილი დღეობების გამომხატველი ტერმინები: ზედაჯვრობა, კვართობა, კოხიჯრობა, კარასეთობა, გორაობა, პეტრეპავლობა, ატოცობა/ქაშვეთობა, მარიამობა/მარიობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წყაროს ქართული ეთნოლინგვისტიკისათვის, რადგან თითოეული ტერმინის მიღმა დგას ფრონის ხეობის მოსახლეობის მსოფლმხედველობა, სოციალური სტრუქტურა და ისტორიული მეხსიერება. დღეობათა ნომინაციაში წამყვანია -ობა სუფიქსი, რომელიც ერთიანობისა და სიმრავლის გამომხატველია. ადგილის სიწმინდეს ხაზს უსვამს -ეთ სუფიქსი ტერმინში: კარასეთობა, რომელიც შესაძლებელია უკავშირდებოდეს კარს, აღსავალს, შესასვლელს. კარ-სა →კარ-ას-ეთ-ი→კარასეთობა. -ობა სუფიქსმა ადგილის სახელი აქცია მოვლენის აღმნიშვნელ ტერმინად.

ტერმინ „მარიობა-ს“ მაგალითზე ვხედავთ ენობრივი ეკონომიის პრინციპს (-ამ დაიკარგა), ფონეტიკური ადაპტაცია მოხდა ცოცხალ მეტყველებასთან. განსაკუთრებით საყურადღებოა „გორაობა“, რაც რიტუალის შესრულების ადგილზე „გორაზე“ მიგვანიშნებს.

ხალხური დღეობების ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მონაცემების ურთიერთმიმართება ადასტურებს ფრონის ხეობის მდიდარ სულიერ კულტურას, კვლევა ხაზს უსვამს ამ მასალების დოკუმენტირების აუცილებლობას, რათა არ მოხდეს ამ კუთხის ლოკალური ტრადიციებისა და შესაბამისი ლექსიკური ფონდის გაქრობა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- აბაკელია, ნ. ალავერდაშვილი, ქ. ზღამბაშიძე, ნ. (1991). *ქართულ-ხალხურ დღეობათა კალენდარი*. თბილისი.
- ბარდაველიძე, ნ. (1974). *აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები*. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- გარდაფხაძე-ქიქოძე, ფ. (1995). *ქართული ხალხური დღეობები (რაჭა, ლეჩხუმი)*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- გვასალია, ჯ. (1989). ფრონის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. VII*.
- გოგოლაძე, ვ. (1968). *სოფელი ავნივი*. ცხინვალი: გამომცემლობა „ირისტონ“.
- კობერიძე, მ. (2025). ფრონის ხეობის სოფელ ტახტისძირის ისტორიიდან. *ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია. XIV*.
- კობერიძე, მ. (2025). ქვაშვეთობა/ქაშვეთობა/ ქაშეთობის დღესასწაულის შესწავლის ეთნოლინგვისტური ასპექტები. *ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია. XIII*.
- კობერიძე, მ. (2024). *მავრცობი ხმოვნების პოზიცია და ფუნქცია შიდაქართულში*. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
- კოშორიძე, თ. (2013). ქართულ ხალხურ დღეობათა ტიპოლოგიისათვის. *ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული. V*.
- კოშორიძე, თ. (2019). გორიჯვარი და მისი რიტუალები. <https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/11392-gorijvroba-da-misi-ritualebi>. დამოწმების თარიღი: 25.04.2025.

- მაკალათია, ს. (1960). *კავთურას ხეობა*. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.
- მაკალათია, ს. (1961). *ძამის ხეობა*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- მაკალათია, ს. (1963). *ფრონის ხეობა*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- მაკალათია, ს. (1971). *ლიახვის ხეობა*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ორბელიანი, ს.-ს (1949). *სიტყვის კონა*. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.
- ოჩიაური, ა. (1991). *ქართული ხალხური დღეობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი)*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა (გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის რაიონები). (1990). თბილისი.
- ღამბაშიძე, ნ. & ლავერდაშვილი, ქ. (2018). *აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული კულტურა (გუდამაყრის, ხევის, თუშეთის სალოცავები)*. თბილისი.
- ჩუბინაშვილი, ნ. (1961). *ქართული ლექსიკონი*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

References

- abak'elia, n. alaverdashvili, k. & ghambashidze, n. (1991). *kartul-khalkhur dgheobata k'alendari [Georgian Folk Holidays Calendar]*. tbilisi.
- bardavelidze, n. (1974). *aghmosavlet sakartvelos mtianetis t'raditsiuli sazogadoebriv-sak'ult'o dzeglebi [Traditional social and religious monuments of the mountainous regions of Eastern Georgia]*. t. I. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“.
- gardapkhadze-kikodze, p. (1995). *kartuli khalkhuri dgheobebi (rach'a, lechkhumi) [Georgian folk festivals (Racha, Lechkhumi)]*. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“.
- gvasalia, j. (1989). *pronis kheobis ist'oriuli geograpiis sak'itkhebi [Issues of historical geography of the Fron Valley]. sakartvelos ist'oriuli geograpiis k'rebuli [Collection of Historical Geography of Georgia]. VII.*
- gogoladze, v. (1968). *sopeli avnevi [The village of Avnevi]*. tskhinvali: gamomtsemloba „iriston“.
- k'oberidze, m. (2025). *pronis kheobis sopel t'akht'isdziris ist'oriidan [From the history of the village of Takhtisdziri in the Fron Gorge]. ist'oria, arkeologia, etnologia [History, archaeology, ethnology]. XIV.*
- k'oberidze, m. (2024). *kvashvetoba/kashvetoba/ kashetobis dghesasts'aulis shests'avlis etnolingvist'uri asp'ekt'ebi [Ethnolinguistic aspects of studying the Kvashvetoba/Kashvetoba/Kashetoba holiday]. ist'oria, arkeologia, etnologia [History, archaeology, ethnology]. XIII.*
- k'oberidze, m. (2024). *mavrtsobi khmovnebis p'ozitsia da punktisia shidakartlurshi. [Poziton and Function of Extending Vowels (Emphatic vowels) in Shidakartlian]. Tbilisi: gamomtsemloba „Meridiani“.*
- k'oshoridze, t. (2013). *kartul khalkhur dgheobata t'ip'ologiisatvis [For the typology of Georgian folk holidays]. kutaisis sametsniere bibliotek'is ts'elits'deuli [Kutaisi Scientific Library Yearbook]. V.*
- k'oshoridze, t. (2019). *gorijvari da misi rit'ualebi [Gorijvari and its rituals.]. <https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/11392-gorijvroba-da-misi-ritualebi>. damots'mebis tarighi:25.04.2025.*

- mak'alatia, s. (1960). k'avturas kheoba [Kavtura Valley]. tbilisi: gamomtsemloba „nak'aduli“.*
- mak'alatia, s. (1961). dzamis kheoba [Dzami Valley]. tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“.*
- mak'alatia, s. 1963. pronis kheoba [Fron Valley]. tbilisi: gamomtsemloba „nak'aduli“.*
- mak'alatia, s. (1971). liakhvis kheoba [Liakhvi Gorge]. tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“.*
- orbekiani, s.-s (1949). sit'qvis k'ona [Word cloud]. tbilisi: gamomtsemloba „sakhelgami“.*
- ochiauri, a. (1991). kartuli khalkhuri dgheobebi aghmosavlet sakartvelos mtianetshi (pshavi) [Georgian folk festivals in the mountains of eastern Georgia (Pshavi)]. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“.*
- sakartvelos ist'oriisa da k'ult'uris dzeglta aghts'eriloba (goris, k'asp'is, karelis, khashuris raionebi) [Description of Georgian historical and cultural monuments (Gori, Kaspi, Kareli, Khashuri regions)]. (1990). tbilisi.*
- ghambashidze, n. & alavardashvili, k. (2018). aghmosavlet sakartvelos mtianetis traditsiuli k'ult'ura (gudamaqris, khevis, tushetis salotsavebi) [Traditional culture of the mountains of eastern Georgia (the shrines of Gudamakari, Khevi, Tusheti)]. tbilisi.*
- Chubinashvili, N. (1961). Georgian Dictionary [Georgian dictionary]. Tbilisi: Publishing House "Soviet Georgia".*